ხელშეკრულება № 37

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 11 მარტი 2013 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი (ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. №9), აპარატის უფროსის ირაკლი ჭეიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ტექნო ბუმი“-ს (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №30ა) დირექტორის მინდობილი პირის ემზარ ქოქოლაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა 2013 წლის 13 მარტამდე მიაწოდოს შემსყიდველს მტვერსასრუტი shivaki-SVC-1805 (CPV კოდი: 39713430), შემდგომში „საქონელი“, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 123 (ას ოცდასამი) ლარს.

2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

3.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ მიწოდებაზე კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს

შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, კერძოდ მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე ს.ს. „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, ა.ან. GE 15BG0000000943187800, საიდ. კოდი 205286199.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. სანქციები და პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვაროს ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და წყვეტს მოქმედებას 2013 წლის 15 აპრილს.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ №9	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №30ა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი	შპს „ტექნო ბუმი“
ირაკლი ჭეიშვილი	დირექტორის მინდობილი პირი
	ემზარ ქოქოლაძე